408
2

ლის ამგებ. კომიტეტის გამოცემა № 1.

პალიასტომის ცხა

მოთხრობა

ეგნატე ნინოშვილისა.

თფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“. რუსკაია ქუჩა № 3.
1909

ე. ნინოშვილის ძეგლის ამგებ კომიტეტის გამოცემა № 1.

154
1
899.962.1-32
6-71-5
1408
ინვ. 22
ფონ. 32
ნუმ.
ბიბლიოთეკა
ქ. ქუთაისის საბ. საჯარო ბიბლიოთეკა
ქ. ქუთაისის საბ. საჯარო ბიბლიოთეკა

პალიასტომის ცბა

მოთხრობა

ეგნატე ნინოშვილისა.

თფილისი
ელექტრობეჭდავი ამხ. „შრომა“. რუსსკაია ქუჩა. № 3.
1909

ევნატე ნინოშვილი

(ინგოროყვა)

ბალიასტომის ტბა.

I

ურიის დასავლეთის მხრის სოფლებისთვის ქ. ფოთს დიდი მნიშვნელობა აქვს: რაც რამ გასაყიდი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ჰყიდის, საყიდელია და, კიდევ იქ ყიდულობს. როცა ამ სოფლების გლეხს გადასახადისთვის მიადგებიან კარზედ და ფული-კი არა აქვს, მაშინ ფოთია მისი თავდები: „მაცა, ფოთს ჩავირბენ, ამოვიტან და მოგცემო“,—ეუბნება გლეხი „ზბორჩიკს“ ან ნაცვალს *). დილიდან საღამომდე მიდიან და მიდიან ფოთის გზაზე ქათმებით, ინდაურებით, იხვებით, ბატებით, ღომით, სიმინდით და, ვინ იცის, რით არა, დატვირთული გურულები. ხე-ტყე ხომ აუარებელი ჩააქვთ გურიიდან ფოთს. ამიტომაც არის, რომ როცა ხმა გავარდება „ფოთი ყრუვდება, სხვაგან გადააქვთ“-ო (ასეთი ხმა ხშირია გურიაში), ზემოხსენებულ სოფლის გლეხებს ჯავრით გული

---

*) ნაცვალი გზირია.

უსკდებათ. მაგრამ ამისთანა სარგებლობასთან ერთი სახიფათო რამაც სჭირს გურულების ფოთს მისვლა-მოსვლას: აღმოსავლეთის კარებთან, საიდანაც გასასყიდელი რამეებით გამომგზავრებული გურულები უნდა შევიდნენ თავიანთის პატარა ვარცხლა-ნავებით, დგას ერთი მრისხანე მეკლიტული, რომელიც ხან-და-ხან ისე გაჯიბრიანდება, რომ მთელის კვირაობით, გურულათ რომ ვსთქვათ, აყურყუტებს *) აქ ფოთს მიმავალს მგზავრს; თუ ზაფხულია, კოლოები სწევენ ქელეხს ამ საცოდავი მგზავრის სისხლზე; თუ ზამთარია, სიცივე უხვრეტავს ძვალ-რბილს. მშრალი ადგილიც ძვირია (მთელი აქაური არე-მარე ჩალით დამოსილი ჭაობია), რომ ცეცხლი მაინც დაინთოს კაცმა. მრისხანე მეკლიტული, რომელსაც მე მოგახსენებთ, გახლავთ „პალიასტომის" ტბა, რომელიც, თითქო შავს ზღვას გადმოუტყორცნია და დაუბარებია: „წადი, აღმოსავლეთის მხრით შენ უდარაჯე ქ. ფოთსა"-ო. თითქო შავს ზღვას უმზითვებია ამ პატარა თავის ნათესავისთვის შფოთიანობა, გახელება, ადამიანის მტრობა. როცა ქარი ამოიჭრება, „პალიასტომი"-ც გაშავდება, გაპირკუპრიანდება, წამოიქოჩრება, პირზე თეთრს დორბლს მოიყენებს და ცასა და ქვეყანას ჩაყლაპვას უპირებს ეს პატარა ვეშაპი. თუმცა დიდი არ არის ეს ტბა, თვალ მახვილი კაცი მის შუაგულიდან ადვილათ

*) ყურყუტი მოცდაა.

დაინახავს იმის ჩალიან ნაპირებს, მაგრამ სიმარდე და ზნე კი შავი ზღვისა აქვს, შავი ზღვისა, რომელთანაც „პალიასტომი“ შეერთებულია გვარიანი, მოგრძო და ფართე სრუტეთი.

„პალიასტომის“ შესახებ გურიაში არსებობს ერთი ლეგენდა: ეხლა რომ ტბაა, იმ ადგილას უწინ თურმე ხმელეთი იყო, ზედ ხალხი იდგა და ამ ხალხს „პალიასტომს“ ეძახდენ. ერთს დღეს ხმელეთმა ძირს დაიწია, ერთს ადგილას მიწა გაირღვა, უცბათ წყალი ამოვარდა დედამიწიდან და მთელი სოფელი დაჰფარა. აქაური ხალხიც და ყოველივე სულდგმული დაიხრჩო, მხოლოდ ერთმა დიაკვანმა მოასწრო, გაიტაცა მთავარ-ანგელოზის ხატი, აიტანა ჯუმათის მთაზე *) და იქ შემდეგ ამ ხატს ეკლესია აუშენეს. ეს დიაკვანიც, გვარად დარჩია, დეკანოზათ დააყენესო. ჯუმათის მთაზე ეკკლესია (მონასტერი) დღესაც არსებობს, ხალხი, გვარად დარჩია, დღესაც სცხოვრობს სოფ. ჯუმათში და ბევრი მათგანი სასულიერო წოდებისაა, მაგრამ ლეგენდაში მოყვანილი ამბავი რამდენათ მართალია, ამისი-კი რა მოგახსენოთ. „პალიასტომის“ ტბა უფრო მის მახლობლათ მდებარე მთებიდგან მონაწრეტს და დაბლობში შეგროვებულს წყალსა ჰგავს, მინამ მიწის ძვრისაგან ამონახეოქსა, თუმცა-და შეუძლებელი-კი არც ამ უკანასკნელშია რამე.

---

*) ჯუმათის მთა გურიაშია.

ხსენებული ტბა სამეგრელოს თავადს დადიანს ეკუთვნის და მეთევზე მეგრელები აუარებელს თევზს იჭერენ შიგ თავიანთის „ღრიფი“-თ *). თუ როგორ გამხდარა სადადიანოთ „პალიასტომი“, ამის შესახებაც ერთი ლეგენდარული ზეპირ-გარდმოცემა არსებობს გურიის ხალხში: ერთი რაღაც შემთხვევის გამო სამეგრელოს თავადს დადიანს თავისი ვაჟიშვილი მიუცია გურის მჭყრობელ გურიელისათვის მძევლათ. გურიელს მძევლის აყვანის შემდეგ კიდევ მაინც რაღაც ეჭვი აუღია დადიანზე—მღალატობსო. ამიტომ ახალის წლის წინა დღეებში მოუჭრია თავი მძევლათ აყვანილ დადიანის ვაჟისთვის, ჩაუდვია ეს თავი ყუთში და უთქვამს: ვინც ამას ახალ წელს, დილით, დადიანს მიუტანს, გლეხი იქნება, აზნაურობას ვუბოძებ და აზნაური—თავადობასო. ერთს გლეხს უკისრნია მიტანა; შემჯდარა ცხენზე და სწორეთ ახალ-წელს, წირვაზე წასვლის დროს, მიურთმევია დადიანისთვის დაკეტილი კოლოფი—გურიელმა მოგვართვაო. როცა დადიანს კოლოფის გასაღები მოუთხოვნია, გლეხს შემოუკრავს თავში ხელი: „ვაიმე, წუხელ სხვაგან ღამე გავათიე და იქ დამრჩენია“-ო. ამ სიტყვებით გლეხი მოხტომია ცხენს და გამოუწევია შინისაკენ, ვითომდა გასაღების მისატანათ. როცა დადიანს დაუნახავს, ყუთის მომტანი გლეხი აღარ დაბრუნდა, გაუტეხია

*) ღრიფი—დიდი ბადეა.

ყუთი და უნახავს, რაც იდო შიგ—თავის შვილის თავი. ამაზე ატეხილა გურიელსა და დადიანს შორის ჩხუბი. უკანასკნელ, როგორც ყოფილა, მორიგებულან და დადიანს თავის შვილის სისხლში გურიელისაგან „პალიასტომის“ ტბა აუღია.

„პალიასტომსა“ და გურიის სოფლებს შუა რიგ-რიგათ, უშველებელ ზოლებივით, მდებარეობს ჯერ სოფლის ბოლოს საყანე და საბალახო ადგილები, მერე დიდი, თუმცა-და ჭაობიანი, მაგრამ სხვა-და-სხვა ხეებით მდიდარი ტყე და უკანასკნელ—ისლით და ჩალით დამოსილი ადგილი, რომელსაც გურულები „ეწერს“ ეძახიან. კარგი სანახავია ეს „ეწერი“, გაზაფხულზედაც თვალის წარმტაცი სიმწვანით და შემოდგომაზედაც ჩალის ფერი სიყვითლით. თვალს იტაცებს, მაგრამ კიდეც ატყუებს: იქ, სადაც თვალს ხავერდით მოფენილი გონია არე-მარე, ჭაობსა და დამპალს წყალში გეფლება ფეხები. კარგი რამ არის ეს „ეწერი“ მონადირისთვის მაშინ, როცა დათოვს და გაყინავს, ველარსად ემალება მონადირის ძაღლებს აქ გამოდევნილი ღორი, ან შველი. ტყესა და „ეწერს“ ხაზავს აუარებელი პატარა მდინარეები (გურულათ „ნოყო“), რომლებისგანაც შესდგება ორი სანავო და სატივო მდინარე. ეს სანავო მდინარეები იწყება სოფლების ბოლოდამ და ჩაერთვის „პალიასტომს“.

II

რისტეშობისთვე იყო. საშინელი ცუდი დარები დაეჭირა: ხან ჰქროდა და წვიმდა, ხან „ხოშკაკალს“ ყრიდა, ხან თოვლსაც ურევდა. როცა მოიწმენდდა, ყინვა სწვავდა ყველაფერს. ბედნიერი ხალხი, ესე იგი, მდიდრები, მამულიანები, უფროსები ამ დროს დალულუნებულს, თბილს ბუხართან ისხდენ და სხვა-და-სხვა შესაქცევარით იქცევდენ თავს. მაგრამ მუშა გლეხს, რაც გინდა რა დარი იყოს, მანც არ შეუძლია ოისვენოს; გლეხმა კარგათ იცის, რომ ძოსვენება და სატანჯველის მორიდება უარეს სატანჯველს შეახვედრებს და ამიტომ არას დროს არ ისვენებს, არც დარში და არც ავდარში, ეწევა უღელს, სანამ სიკვდილი არ დაახუჭვინებს თვალებს. მიუხედავათ იმისა, რომ, როგორც ვსთქვით, საშინელი ცუდი დარები იდგა, „პალიასტომის“ ტბის მახლობელს ტყეებში გაისმოდა ცულის ხათქა-ხუთქი და წამ და უწუმ—ხის წაქცევისაგან გრიალი,— მუშა გასეოდა ტყეებს და ამზადებდა ფოთში გასაყიდს ხეებს; მუშაობდენ, ავდრის და სიცივის მიუხედავათ, დასველებულები, სიცივისაგან ხელ-ფეხ დაწითლებულები, მუშაობდენ მოუსვენრათ და ღამით დაქანცულ-დაღლილები ეყრებოდენ აქა-იქ ფარღალალა კარვებ-

ში, ცეცხლის პირას დასაძინებლათ. ვისაც ნაბადი ჰქონდა, ეხვეოდა ნაბადში და უმეტესობა-კი ისე გაუხდელათ, სველის ტანისამოსით მიეგდებოდა დილამდე წკნელის ლოგინზედ და ხის მუთაქაზედ. ბევრს კარავში წვეთი და წვიმის წყალიც ჩადიოდა, რადგან მუშას ვერ მოეცალა ხეირიანათ კარვის სახურავის გასწორებისათვის.

ტყე, რომელშიაც ეხლა მუშაობდენ გლეხები, ერთს დროს ეკუთვნოდა სოფლებს; ყველა წოდების კაცი, ყველა, დიდი და პატარა თავისუფლათ თევზაობდა, ნადირობდა და მუშაობდა შიგ: მოდავე და მოცილე არსაიდან ჩანდა, იმის გარდა, რომ ხანდახან ერთი სოფელი მეორე სოფელს დაედავებოდა—ესა და ეს ნაჭერი ტყე არა მე მეკუთნის და არა მეო; ართმევდენ ერთმანეთს დამუშავებულს ხეებს, უფუჭებდენ ნამუშავარს, მაგრამ ბოლოს საქმე ისევ მორიგებით თავდებოდა. მერე კიდევ ასეთი შემთხვევა ხშირი არ იყო,—ოცს ან ათს წელში ერთხელ მოხდებოდა. მაგრამ უკანასკნელ, როცა ტყის სარგებლობა გაიგეს, გლეხების მონაწილე თავად-აზნაურობამ მოინდომა მათი თავიდან მოშორება; ჯერ ნელ-ნელა დაუწყეს ღრინვა—გლეხს კანონის ძალით ტყე არ ეკუთვნის, ტყე ჩვენიაო. მაგრამ გლეხები ყურსაც არ იბერტყავდენ ასეთს ღრინვაზე. შემდეგ, რა ნელ-ნელა ღრინვით ვერას გახდენ, თავად-აზნაურებმა დაუწყეს გლეხების დამუშავებულს ხეებს ტაცება. რასაკვირველია, წინ-

დაწინ უფრო ჯაბანს გლეხებს უბედავდენ წართმევას. მაგრამ შემდეგ აღარც მძლავრებს დაერიდენ. ეხლა-კი გლეხებმა გაახილეს თვალი, დაიწყეს იმათაც სამაგიეროს გადახდა და ამ მხრივ კიდეც გადააჭარბეს თავიანთს მოწინააღმდეგებს. რადგან გლეხობა ბევრი იყო და მათ წინააღმდეგ ძალით ვერას გახდებოდა, თავად-აზნაურობამ მიმართა პოლიციას: დღეს ერთს გლეხს ადებდენ ბრალს და აბარებინებდენ პოლიციაში, ხვალ—მეორეს, ზეგ—მესამეს და ასე ამ გვარათ, პოლიციის საშუალებით, აპირებდენ მათს გადევნას ტყის მონაწილეობიდან. მაგრამ გლეხობამ ეხლა სხვა ღონეს მიმართა: ისინი შეერთდენ და სამუშაოდ, თუ წასართმევათ, ერთად მიდიოდა ტყეში მთელის სოფლის გლეხობა. თავად-აზნაურებისაკენ გადამდგარმა პოლიციამ, რასაკვირველია, აქაც თავისი ხერხი იხმარა,—დააპირა გლეხების დატუქსვა. მაგრამ „თავს დავიხოცთ და ჩვენს სარჩოს ხელიდან ვერ გუვუშვებთ, რაც უნდა გვიყოთო“,—იყო გლეხების მხრით პასუხი. პოლიციამ სცადა კიდევ თითო-ოროლა თავი-კაცის გამოკლება გლეხებისაგან და დატუსაღება, მაგრამ გლეხები არც ამით იღებდენ ტყის სარგებლობაზედ ხელს: „თუნდ სულ თითო-თითობით სატუსაღოში გამოგვალპეთ, ჩვენს ლუკმას მაინც პირიდან ვერ გამოვიღებთ“-ო, იმეორებდენ ისინი. აქ მართლადაც პოლიცია ვერას გახდა და თავად-აზნაურობამ მიმართა სამსჯავროს კარებს. აქაც კარგათ მიდიოდა გლეხე-

ბის საქმე, რადგანაც თავად-აზნაურობაში განხეთ-ქილება მოხდა, ისინი ერთმანეთთან დავას მოუნდენ და გლეხებისათვის აღარ ეცალათ. თავადები საკუთ-რად ჩეშობდენ მთელს ტყეს; აზნაურები ამბობდენ, რომ თითოულ თავადის ოჯახს იმდენი წილი აქვს ტყეში, რამდენიც თითოულ აზნაურის ოჯახსო. აიწყეწა საქმე თავად-აზნაურობაში. რა რომ საქმე აწეწილი დაინახეს, ხაზინა და ეკლესიაც წამოყელ-ყელავდა: იქნება ჩვენ დავიჭიროთ ამ ღვრიე წყალ-ში თევზიო,—ასტეხეს იმათაც დავა და ამტკიცებ-დენ, რომ სადავო ტყე არც გლეხებს ეკუთვნის და არც თავად-აზნაურობას—საეკლესიო და სახაზ-ნოაო. ისე დაიხლართა საქმე, რომ სამსჯავროებს მოსვენება აღარ ჰქონდათ იმისგან; ვინ იცის, საი-დან არ გამოჩნდენ ადვოკატები! ერთს ადვოკატს-კი აღარ სჯერდებოდენ მოცილეები, ორსა და სამს იყენებდა თითოული მათგანი. მხოლოდ გლეხები კი არას დაგიდევდენ. დარწმუნებულნი, რომ თუ კანონი არსებობს ქვეყანაზე, ჩვენს წილს ტყეს ვე-რავინ ჩამოგვართმევსო“, დამშვიდებით განაგრძობ-დენ ტყის სარგებლობას; ძალით ვერც ერთი მო-ცილე ვერარას აკლებდა და სამსჯავროში-კი თავად-აზნაურობის და ხაზინის აგენტის განცხადება—გლეხ-კაცს, თუ არვისგან შეუსყიდია და დოკუმენ-ტი არ აქვს, ისე უძრავის ქონების დასაკუთრება არ შეუძლიაო, სამსჯავრომ არ მიიღო:—ათის წლის სარგებლობა სრულიად საკმარისია, რომ ულრავი

ქონება მოსარგებლემ დაისაკუთროს, რა წოდებისაც უნდა იყოს-ო,—იყო სამსჯავროს მხრივ პასუხი. მოცილენი, რა დარწმუნდენ—საქმე ძალიან არეულ-დარეულია, სამსჯავროში საქმეს ბოლო არ ეღება და გლეხებსაც ტყის მონაწილეობიდან ადვილათ ვერ გავდევნითო, ხრიკს მიმართეს: დაუფაცურდენ გლეხებში განხეთქილების ჩამოგდებას. თავადები თავიანთს ნაყმევებს ეუბნებოდენ:—„თქვენ არ გეუბნებით უარს და სხვისი რა დარდი გაქვთ, ტყუილათ ან თქვენთვის რათ კარგავთ ტყეს, ან ჩვენ რად გვიკარგავთ! მოგვიწყეთ ხელი, გავდევნოთ სხვა მონაწილეები და მერე ჩვენ გავიყოთ ტყე“-ო. ამასავე ეუბნებოდენ აზნაურები თავიანთ ნაყმეებს! ამასავე ეუბნებოდა ხაზინა და ეკლესია სახაზინო და საეკლესიო გლეხებს.

უმნიშვნელოთ არ ჩაიარა ამ ხრიკმა: დაიწყო ნელ-ნელა რღვევა გლეხების ერთ-პირობამ; ზოგი თავადებს ეკედლებოდა, ზოგი—აზნაურებს, ზოგი—ხაზინას. დარჩა მცირე ნაწილი გლეხობისა თავისთვის. მაგრამ რაღა დარჩენა იყო იმისთანა დარჩენა! ის გლეხები, რომლებმაც მათ უღალატეს, ილაჯს უწყვეტამდენ, თუ ხის წართმევით, თუ ცრუ მოწმობით. ისე თვე არ გავიდოდა, რომ ამათ შორის თავპირის მტვრევა არ მომხდარიყო. ვინ იცის, რა ღონეს არ ხმაროობდენ ერთმანერთის დასალუპავათ! ჩუმათ ცეცხლს უკიდებდენ ერთი-მეორის სახლკარს და აბუგვინებდენ ვაი-ვაგლახით და ოფ-

ლით მონაგარს სარჩო-საცხოვრებელს! გზებზე თოფით უხვდებოდენ და ჩუმათ კლავდენ ერთმანეთს; ცილს უგონებდენ და სისხლის სამართალში აძლევდენ. თავად-აზნაურობა, რომელმაც ასე გადაჰკიდა ერთმანეთს გლეხები, გულში იცინოდა და თავის საქმეს იკეთებდა. გადაბირებულ გლეხების შემწეობით და ცრუ-მოწმობით ბოლოს იმათ მოიგეს საქმე დანარჩენის გლეხებისაგან და ეხლა დაუწყეს საჩივარი ზიანის, ტყის ბაჟის და სამსჯავროში ნახარჯის შესახებ; ესეც მოიგეს, ჩაუყენეს გლეხებს ბოქაული და, სულით ხორცამდე რაც-კი ებადათ, სულ ვალში გაუყიდეს. ცრემლები გადმოგცვიოდათ, როცა სახლს, ბელელს, საქონელსა და სხვას აცლიდენ გლეხებს ხელიდან და ცარიელს ყრიდენ ცა-წმინდას ქვეშ!

გლეხები ხომ მიიშორეს თავიდან, ეხლა თავადაზნაურობას დარჩა მოცილედ ხაზინა და ეკკლესია. რომ ესენიც მოეშორებიათ, საჭირო იყო იმათი (თავად-აზნაურობის) ერთმანეთში მორიგება. მორიგდენ კიდეც. მორიგების შემდეგ მათი საქმე კარგათ წავიდა: ხაზინისა და ეკლესიისაგან ტყის საქმე მოიგეს. ის გლეხებიც, რომლებიც გადაბირებული ჰყავდათ და ვითომაც ტყეში მონაწილეთ ცნობილობდენ, პირში ჩალა-გამოვლებული დატოვეს და უბაჟოთ ერთს ღერს წკნელსაც არ აჭრევინებდენ.

აი ეს ტყე იყო, რომელშიაც დღეს გლეხები ხეებს თლიდენ ფოთში წასაღებათ. დამზადებული

ხისაგან ნახევარი ტყის პატრონებისთვის—თავადაზნაურებისთვის—უნდა ჩაებარებიათ ტყის ბაჟში. იმ დროისა, როცა გლეხებსაც საკუთარი წილი ჰქონდათ ამ ტყეში და ბაჟს არავინ ახდევინებდა, მხოლოდ გლეხების მიერ დარქმეული სახელებიდა შერჩენოდა ადგილს და წყლებს, მაგალ. „მჭედელაის სალობი“, „საფარონე“ *).

III

ერთს „ნოყო“-ს **) პირზედ იდგა ერთი კარავი, რომელსაც ზედ ეტყობოდა, რომ მარჯვე და მოხერხებული მუშა კაცის ხელს გაეკეთებია,—კარგის წკნელით მაგრათ დალობილი, ზედ ფიცრის კარი, რაც შეიძლება, ისლით კარგათ დახურული, აქეთ-იქით სუფთა წკნელისაგან დაწნული, ტახტისებურათ გაკეთებული საწოლი,—ერთის სიტყვით მთელს ამ ტყეში იშვიათი იყო ასეთი კარავი. ეს კარავი ეკუთვნოდა გლეხს ივანეს, რომელიც თავისი თექვსმეტის წლის ვაჟით ნიკოთი ჩამოსულიყო და მუშაობდა ტყეში. ივანე ორმოცდა-ხუთი წლისა იქნებოდა; ის იყო საშუალო ტანისა, ბეჭებ-განიერი, სწორი, სასიამოვნო

*) სალობი და საფარონე თევზის დასაჭერი ადგილებია.

**) ნოყო პატარა მდინარეა.

შესახედავი პირის-სახისა, რომელზედაც სიმამაცე და გამბედაობა ემჩნეოდა. ივანე დიდათ წვრილ-შვილი კაცი იყო—ჰყავდა ორი ვაჟი და ხუთი ქალი. ამათში უფროსი ნიკო იყო, ნიკოს შემდეგ გასათხოვარი ქალი და დანარჩენები ისე მცირე წლოვანნი, რომ ჯერ, ჭამის გარდა, არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ.—რომ ოჯახი და შვილები ერჩინა, ივანეს მხრივ მოუსვენარი შრომა იყო საჭირო; აი ამ მოუსვენარს შრომას უნდა მიეწეროს, რომ ივანეს წვერ-ულვაში ისე ჰქონდა გათეთრებული, როგორც ორმოცდა-ათის ან სამოცის წლის კაცს შეჰფერის. თუმცა ივანე მოხუცებას არ იმჩნევდა, მხნეთ და ჯანიანათ გამოიყურებოდა, მაგრამ ხანდახან-კი წამოსცდებოდა ის, რასაც თავისთვის ხშირათ ფიქრობდა: „თავს არ ვუტყდები, თვარა მოვხუცდიო“. მეზობლებში ივანე პატივცემული იყო თავის ჭკუის, პატიოსნების და სიმარჯვის გამო. რადგან ოჯახს შედარებით გვარიანათ და კარგათ ინახავდა, მეზობლებს ისიც ეგონათ, რომ ივანეს ვაჟკაცობის დროს შენაძენი ფული აქვს შენახული და გაჭირვების დროს ცოტ-ცოტაობით ხარჯავსო. ცულის ხმარება ივანემ კარგათ იცოდა და ამიტომაც ხშირათ გაიგონებდი ტყეში მომუშავე მუშებში: „ძმავ, ხეები ივანიკას რომ აქ, იმას ჰქვია, დურგლის გათლილს გავს! რა გასაკვირველია, რომ იი კაი ფასათ გეიყიდოს!“ ამ წელს ივანემ მეტადრე ადრე დაიწყო მუშაობა და კარგა ბლომათაც დათალა ხე, რადგან

ცოტა ოდენს ნიკოც ეხმარებოდა. საღამოობით ივანე ნიკოს ადრე გამოუშვებდა ვახშმის გასაკეთებლათ და თითონ-კი დაბნელებამდე მუშაობდა; მერე, როცა დაბრუნდებოდა კარავში, მოუჯდებოდა ცეცხლს, დაიტეხდენ მამა და შვილი „ჩახანაში“ *) გამომცხვარს მჭადს, თუ ხსნილი იყო, ხმელს ყველს მიაჭმევდენ ზედ, თუ მარხვა — „სუნელს“ **). ხან ივანე თევზსაც იჭერდა, გარეულს ღორსაც კლავდა (ივანე კარგი მონადირე იყო). თუმცალა-კი ძლიერ უჩიოდა: „გამეილია ამ დასაქცევ ტყეში ყოლიფერი! უწინ დილიდან საღამომდე რომ სამძირს ***) წავსულიყავი, ირემს გავაგორებდი. თებზით ნავს დავლალავდი! ახლა ირემი ქე მოისპო, თებზი წყალში გამეილია! ერთი კვირე უნდა სდიო და კიდევ კაი ბიჭობაა ერთი ჭვირთი თებზი, ან ხორცი იშონო კაცმა“-ო.

ერთს საღამოს ივანე ადრე დაბრუნდა კარავში და ღიდს ხანს ესაუბრა თავის ნიკოს:

— იცი, ბიჭო, ნიკო, ღმერთმა თუ ხელი მოგვიმართა და არაფერი გამოგვეკრა, ავათმყოფობა,

*) ჩახანაი—თუჯის ქვაბია.

**) სუნელს ასე ამზადებენ: დანაყენ ერთად ნიგოზს, ნიოოსა და მარილს. ტყეში სასიარულე კაცი წაიღებს ამას თან საჭამადათ. რადგანაც ადვილი სატარებელია და ცოტაც ყოფნის ადამიანს. გარდა ამისა, „სუნელი“ თევზისა და ხორცის გასაკეთებლადაკ ვარგა, როგორც საწებელი.

***) სამძირი—უძაღლოთ, ერთი კაცის ნადირობა.

ან რამე, წრეულს ძაან საქმეს ვიზამთ, ძაან დავთალეთ ხეები! იი ციცაის „მგვზითი“ რომ არ მქონდეს საყიდლათ, ამ ხეების ფასით მეგატონესაგან მიწას დეევიხსნიდი, თავს გევითავისუფლებდი. ჰეი, ერთი იმ „ნადელის“ ვადასახადს მომაშორა და მომკლა, აღარ ვჩივი! მეზობლები სულ იმას მიჩივიან: „შენისთანა შეძლებული ვინ არის, თავს რეიზა არ ითავისუფლებო“, გონიან, რომ ფული მაქ. თავი გევითავისუფლო და ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი დავყარო, ამას ვერ ვიზამ და ისე ყოლიფერს აღარ ეყო ერთი კაცის მკლავი. წრეულს იმ „ციცაის“ გათხოვას მოვრჩები... იი დასაქცევი, თლათ წახდა დროი! ვაჭარ ურიასავით მარტო ფულისკენ უჭირავს ყველას თვალი, მოწიფულს კაცს მაქამდელა გული აღარ უძგერის მკერდ-ქვეშ. ჩემ შვილობით არ ვიტყვი და ჩემი „ციცაი“, მატაი, რომ უწინდელს დროში ყოფილიყო, „მგვზითი“-კი არა, პირ-აქეთ დეიხარჯოდენ იმის ცოლათ შერთვაში, ჩვენ მუხურში იმისთანა ქალი ორიც არ მეიძებნება. ახლა მისი წონა „მგვზითი“ თუ არ დავაყარე თავზე, შინ უნდა დამიბერდეს. დაბერებას ვიღა ჩივა, ვინმე შემირცხვენს, იი ოსიკელაის ციცას რომ უგვირგვინოს შვილი აყოლეს, ისე... წრეულს აი, ერთი საქმე შევასრულოთ, — რაც ამას მორჩება, გადასახადებს და ბაღნების დამოსვას მოუნდება...

— ბაჟი რომ არ გვქონდეს გადასახადი, რაც

ხეები დავთალეთ, სულ ჩვენი რომ იყოს... გაა-
წყვეტინა ნიკომ მამას სიტყვა.

— ჰმ!. ბაჟით რომ არა მხდიდენ სულს!..
წმინდა გიორგიმ ბეჟვა არ გამოუწყვიდა მის ოჯახს,
ვინც ჩვენ საბაჟოთ გაგვიხადა საქმე!—ჯავრმოსვლით
დაიწყეველა ივანე,—ეი, ჰაი, ბიჭო, სად არის პირი
და ერთობა! ჩვენსავე მოძმეებს რომ არ ეღალატა,
ვის რა ხელი ქონდა ჩვენთან! მარა ღალატი და
უპირობა! ჰმ... მაშვინ რომ ფხარიდან არ გამოგვ-
შლოდენ!... მოატყუეს უბედურები, აღალატებიეს
და მერე თვითონ უღალატეს! ყაძახს ყოლი კაცი
მოატყუებს. ყაძახმა რომ ერთ-პირობა იცოდეს და
ერთმანეთის ფხარის მიცემა, მაშვინ... მარა ყაძახი
უსტავლელია და უსტავლელს ყველა ატყუებს...
იცი, ნიკო, წრეევანდელი რავაც გვითქვამს, ისე მე-
ვიხმაროთ. ამ გაის ძაან ადრე ჩამოვიდეთ, მაშვინ
შენც კარქა შეგეძლება მუშაობა და ერთი იი ბა-
ტონი მევიშოროთ თავიდან. მენადელე კაცი ბა-
ტონის ყმაია. იფიქრე, ერთი რომ უცფათ ფეხი
გამეშალოს, ჩემს ობლებს ნადელის გადასახადში
დააწინდრებენ! ღმერთო, შენ მომიწყვე ხელი!

— მოვკტით, ბაბავ, ყველა ზამთარში ტყეში
გდებით! რა იქნა, ძაღლი ხომ არ ვართ! ერთი მე-
ვისვენოთ!—უკმაყოფილოთ უპასუხა მამას ნიკომ.

— მოსვენება კაია, შვილო, მარა ვინ მოგვა-
სვენებს! მებატონეს, ღვდელს, ხენწიფეს, ოჯახს,

მტერს, მოყვარეს, ყველას პასუხის გაცემა უნდა. ძნელია მუშის გული!

ნიკომ შეხედა მამას და ნაღვლიანათ ამოიოხრა. ნიკო ქერა ყმაწვილი იყო, ქალივით ნაზი აგებულობისა და ამიტომ ძლიერ უჭირდა შრომის ატანა. მამა ატყობდა ნიკოს, რომ მძლავრს მუშაობას ვერ აიტანსო, და ამიტომ მოინდომა მისი სწავლაში გაზრდა. ერთს ხანს სოფლის სკოლაში ჰყავდა, მერე საქალაქო სასწავლებელში წაიყვანა; ნიკომაც კარგის სწავლის ნიჭი გამოიჩინა, პირველ შეგირდათ ითვლებოდა თავის ამხანაგებში. მაგრამ ივანემ ველარ შეიძლო შვილის სკოლაში რჩენა და პირველი კლასიდანვე გამოიყვანა ნიკო, რომელსაც, თუმცა აგერ სამი წელი იყო, რაც ის სკოლას მოაციღეს, მაგრამ წიგნის კითხვის სურვილი მაინც არ გაჰქრობოდა. იპოვნიდა თუ არა თავისუფალს დროს, წიგნში ჰქონდა თვალი. ივანეც ძლიერ დარდობდა ნიკოს სწავლაზე მოთეშას.

— წევიწყმიდე სული, შენ რომ კლასს მოგაშორე! ახლანდელ დროში უსტავლელი კაცი უღლის ხარია, მეტი არაფერი,—იტყოდა ხოლმე ივანე, როცა ნიკოს წიგნს დაუნახავდა ხელში, მაგრამ რა ექნა? ველარ შესძლო ამ დროულმა კაცმა მძიმე უღლის წევა და უფროსი შვილი ამოიყენა გვერდში. თავისი ფიქრით, ივანე უმცროს ვაჟს უპირებდა სწავლაში გამოზრდას, მაგრამ ამით ნიკოს სწავლაზე მოთეშის დარდი არ უმსუბუქდებოდა.

— ასეა, ნიკო, ასე, ყაძახის საქმე... ივანეს უნდოდა სიტყვა განეგრძო, მაგრამ ამ დროს მასთან შევიდა მისი მეზობელი გიგოია და უთხრა:

— შეიტყვე, ივანე, რა საცოდაობა ქნილა? წუხელი, რომ დიდი ქარი იყო, ზალიკაის კარავთან მუხა მუუგლეჯია, დუურტყამს კარავზე და ორივე აფხანაგები,—ზალიკაიც და სიმონიკაიც, გუუჭყლეტია! ნეტაი დასამარხათ მაინც ეშონა კაცს მკვტარი! რას ქვია, მოკიდია „ცეხლი“ და რავაც თაფლის სანთელი, ესე გამომწვარა ორივე! რაღა ეშველება მათს ცოლ-შვილს! ნეტაი მაინც იმდონი ობლები არ დარჩენოდენ. ერთსაც და მეორესაც ნაცარი საფსე ყავს ბაღნებით!

— ვაი საწყალო, ვაი საწყალო!—შემოირტყა ივანემ თავში ხელი,—გუშინდამ რომ გაეევიარე, ვუთხარი: „ბიჭო, აი მუხა დროზე მოსჭარით, თუ არა კას არ იზამს-მეთქი. ვაი, რა ცოდვა დატრიალებულა, ერთმა მეორეს რომ ცეხლი მოაფსოს ტანზე, იმისთანაი არ დარჩენია არცეთს, შიმშილი დახოცს! მოდი ახლა და ჩვენს სიცოცხლეს სიცოცხლე დაუძახე!...

— ნეტაი ეძინენ, თუ რეიზა ვერ გაასწრეს? — იკითხა ნიკომ, რომელსაც შეშინებულის სახე დაედო ამ ამბის გაგონებაზე.

— იგი ვიღამ იცის, მოამბე კაცი რომ აღარ გადარჩენილა,—სთქვა გიგოიამ.

ერთს ხანს კიდევ ილაპარაკეს ივანემ და გი-

გოიამ, თუ როგორ შეატყობინონ „ზეგანში“ „იმ ცოდიშვილების“ ცოლ-შვილს, და მერე გიგოია წავიდა თავის კარავში.

— ჰმ!...—წამოიძახა ივანემ მწარეთ,—ასეა უბედური მუშა კაცის საქმე: მუშაობს, ფაცურობს, აი იქით, აი აქეთ, გეიხედავ და ჩაკვტება საცხა, რავაც მწერი, ისე! ვინ შეიტყობს, რამდენი ზალიკაი, სიმონიკაი, გოგიეი ამ კუთხეში ჩაკვტება, რამდონი სხვა კუთხეში და რამდონი სად! რა არის ჩვენი სიცოცხლე...

„დიდ-ხანს ილაპარაკეს იმ ღამეს მამა-შვილმა. გაიხსენეს ყველა, ვინც-კი იმ წელს მათს სოფელში, ან სხვა ახლო-მახლო სოფელში ფათერაკში მომკვდარიყო,—ვიღაც გოგიეი, რომელიც ხეს სჭრიდა, ვერ გაიგო ხის წაქცევა და ხემ გასჭყლიტა; თედორიკა, რომელსაც სიმინდის დატეხის დროს სავსე „ნალიას“ *) ქვეშ დაეძინა, ნალია წაქცეულიყო და ცოლიან-შვილებიანათ გაესრისა; პავლია, რომელიც „ნიგოზის“ **) ჩამორეკის დროს ხიდან ჩამოვარდა, თავი კვერცხსავით გაეთქვიფა და, რა თქმა უნდა, მოკვდა. პეტრიელაის ექვსი წლის ქალი, რომელიც მშობლებმა სახლის მცველათ დატოვეს, უცბათ ცეცხლი მოეკიდა ტანსაცმელზე და დაიწვა; მასიკელაი, ოცის წლის ბიჭი, რომელიც ერთს ღვდელ-

---

*) „ნალია“ სასიმინდე.

**) „ნიგოზი“ კაკალი.

თან მოჯამაგირეთ იდგა, წყალ-დიდობას სხვაგან გავზავნეს და დაიხრჩო; ვიღაც გოგიელაი, რომელმაც ოჯახის რჩენა ვეღარ შეიძლო და თავი მოიკლა: სამი ბავშვი, რომლებიც იმ დროს, როცა მათი მშობლები ყანაში იყვენ, ცოფიანმა დაგლიჯა, ერთი მათგანი (უმცროსი) მაშინვე მოკვდა, მეორე გაცოფდა და მესამე გადარჩა, მაგრამ დამახინჯებული,—ცალი თვალი ამოგლეჯილი აქვს, ბაგე გახეული და ხელი გაფუჭებული, ერთი ძუძუს ბავშვი, რომელსაც იმ დროს, როცა დედამ სადილი წაიღო ყანაში და ის აკვანში ჩაკრული დასტოვა, გველი მოეხვია ყელზე, დაკბინა და გამოუთქმელს ტანჯვაში დალია სული.

კიდევ ბევრს ასეთებზე ილაპარაკეს, ასე რომ შუა ღამეზე გადასული იყო, როცა დაიძინეს.

IV

ოთს წასაღებათ დამზადებული ხეების ბედიღბალი ტაროსზეა დამოკიდებული: თუ წყალ-დიდობა არ შეხვდა, ისე ის „ნოყოები“, რომლის პირებზედაც ხეებს ამზადებდენ (დიდრონ, სანაო წყლების პირზე ამ ტყეში ხე გამოიღია) წყლის სიცოტავის გამო ტივს ვერ აიღებს. ამიტომ ხშირათ ხდება, რომ გოლვიანი წელიწადი ზედი-ზედ მოყვება ერთმანეთს, წყალ-დიდობა არ

გაჩნდება და დამუშავებული ხეები ძირზედვე ლპება. ამიტომაც არის, რომ ტყეში მომუშავე, რა დაამზადებს ხეებს, მას შემდეგ მუდამ ცას შესცქერის, როდის იქნება ერთი წვიმა დაუშვას და წყალ-დიდობა დაიწყოსო. მართალია, წვიმა გურიაში შავი ზღვის სიახლოვის წყალობით იშვიათი არ არის, მაგრამ ისეთი წვიმა და წყალ-დიდობა, როგორიც ხის პატრონებს ეჭირვება, წელიწადში ორჯელ-სამჯელ თუ მოხდება—ხან, როგორც ვსთქვით, ისიც არა, მაგრამ იმ წელს, რომელსაც ჩვენ ივანე ვნახეთ ტყეში, თებერვლის თვეშივე დაუშვა ისეთი წვიმა. რომ მდინარეებმა ხე და მიწა წაიღეს. ახლო-მახლო სოფლებიდან მუშა ხალხი ჩალაგდა ტყეში, ისე რომ სოფლებში, ბავშვებს და ქალებს გარდა, მუშა ხელი არ დარჩენილა. ვისაც თავისი ხეები ჰქონდა, ის იყო, და ვისაც არა, ისინი ქირით მიყავდათ. რა თქმა უნდა, ივანეც თავის ნიკოთი და რამდენიმე ნაქირავები კაცით გაჩნდა თავის ხეებთან. მთელს თუთხმეტს დღეს ეზიდებოდა ხალხი ხეებს „ნოყოებიდან“ „ტან-წყალზე“. მართალია, სიცივე წყალში მომუშავეებს ძვალსა და რბილს უყინავდა, მაგრამ ეხლა სიცივეს ვინღა მიაქცევდა ყურადღებას! ისეთი წყალ-დიდობა, როგორიც მაშინ იყო, იქნება სამს წელიწადშიაც აღარ გაჩენილიყო და ამიტომ, თუნდა ჯოჯოხეთი ყოფილიყო, მუშას თავისი ხე მაინც უნდა წაეღო ფოთში. როცა გამოალაგეს ხეები „ტან-წყალზე“, შეჰკრეს დიდრო-

ნი ტივები და მიაცურებდენ ფოთისკენ, ზოგი წინ, ზოგი უკან, ვის როგორც შეხვდებოდა, ისე. ივანემაც შეჰკრა უზარ-მაზარი ტივი, დაითხოვა ნაქირავები მუშები, დაისო თავისი ნიკო ტივზე, გადაიწერა პირჯვარი და გაუდგა ფოთისკენ.

როცა ივანემ „პალიასტომს“ მიუწია, დაღამდა კიდეც. თუმცა-და ცა მოიწმინდა, მაგრამ უმთვარო ღამე იყო და ბნელოდა. თან ცოტა ქარმაც მოუბერა. „ბიჭო, სიდან ამოგირგილდა აი წყეული ზენაის ბინდი!“—უკმაყოფილოთ სთქვა ივანემ, მერე შეხედა ცას და დაატანა:—„ვარსკვლავები ისე ცქრიალებს, რომ ქარი იმატებს. ნიკო, ამეღამ აქანაი უნდა დავაბათ ტივი და გავათიოთ ღამე. ამ ბნელ ღამეში, ერთი რომ მოაცილოს პირს ტივი, გათაკდა, დევიკარქვით წყალში! მერე შენ რომ არ მეჯდე ტივზე, კიდევ სხვაა. მე ბევრჯელ უარეს დარშიაც გადამიარია აგი. მარა, შენ ამისთანა ბნელ ღამეში ვერ განდობ ამ ყლაპავის პირს. გამოუცოცელი ხარ, ერთი „კუმი“ *) რომ ვაგლახათ მოხთეს ტივს, გადაგაგდებს“. ამ სიტყვებით ივანემ მისწია ტივი ნაპირისკენ. როცა ხმელეთს მიუწია, დაასო სარი, დაბა ზედ და მამა-შვილი გავიდენ ნაპირზე. ივანემ მონახა ჩალაში მშრალი ადგილი, სადაც ცეცხლის დანთება შეიძლებოდა, დაკვესა და გააჩინა ცეცხლი. მერე გადმოიტანა შეშა, რომელიც

*) ,,კუმი'' ტალღაა.

ტივზე, ეყარა და ისეთი „დოჩხაური“ *), დაანთო, რომ ერთი საჟენის სიმაღლეზე ადიოდა ალი, მაგრამ ისეთი ცივი ღამე იყო, ისეთი ცივი ქარი ჰქროდა (ივანეს სიტყვა ასრულდა, მძლავრი ქარი ამოიჭრა), რომ ცაწმინდას ქვეშ დანთებული ცეცხლი სრულიადაც ვერ ათბობდა იქ მყოფთ. მეტადრე საწყალი ნიკო სულ გაყინა, მისი კბილების რაკა-რუკი გულს უკლავდა ივანეს, რომელიც ახვევდა შვილს ნაბადს, მაგრამ ნაბადი ტივზე დაველებულიყო და სითბო სრულიადაც აღარ ჰქონდა. შუაღამის შემდეგ ქარმა იკლო. უკანასკნელ, როგორც იქნა, ნიკოს ჩაეძინა. ივანემაც მიდო თავი და, როგორც იტყვიან, თვალი მოატყუა. მაგრამ ჩქარა ალიონმა მოუსწრო და წამოხტა ზეზე. ნიკოც გააღვიძა. ახლათ გაღვიძებული ნიკო ხელ-ახლავ სიცივემ აიტანა და მოყვა კბილების რახუნს. ივანეს უნდოდა, რაც შეიძლებოდა, ადრე წასულიყო, რადგანაც ქარის გაძლიერებისა ეშინოდა, მაგრამ ნიკო შეეცოდა, დაუნთო კარგი ცეცხლი და გაათბო. ამ გარემოებამ ისე დააყოვნა იმათი წასვლა, რომ მთის გადაღმიდან მზის სიწითლემ კიდეც მოატანა, როცა ისინი ტივზე გავიდენ. თითქო მძინარემ გამოიღვიძაო, ქარმა ორიოდეჯერ მძლავრათ ამოისუნთქა და ისევ გაჩერდა. ივანემ გახედა ცას და წარბებ მოჭმუხვნით სთქვა: „ნიკო, ვიჩქაროთ, თუარა ქარი

---

*) ,,დოჩხაური'' დიდი ცეცხლია.

უმატებს". გადაიწერეს მამა და შვილმა პირჯვარი, ახსენეს ღმერთი და აუშვეს ტივი.

— ნეტა, რა ქნეს, ბეჟუკაი და დათიკელაი რომ მოგვყობოდა უკან ტივით?—ჰკითხა ნიკომ.

— სიცივე შეაშინებდა და ზეით კარავში მეიცთიდენ, სხვებიც იყვენ, არც იგინი ჩანს. სიბრიყვე მათი! ამ ქარიზა გეესწრენ, თუარა ახლა რომ ქარი ამეიჭრება, თუთხმეტ დღეს არ ჩავარდება. მერე— უფრო არ დეიხოცებიან ამ ბოლაზში ყურყუტით, სთქვა ივანემ, რომელიც მძლავრათ მიაქანებდა ტივს და ხანდახან უმზერდა ცას

როცა ბოლაზს მოშორდენ, ტივმა მსუბუქათ გაიცურა იმ ღამინდელ ქარისაგან ათამაშებულს „პალიასტომის" წყალზე, საიდანაც გარკვევით გამოჩნდა ჯუმათის მთა და მის წვერზე—არწივის ბუდის ოდნათ—მთავარ-ანგელოზის მონასტერი. რადგანაც მზე მეორე მხრიდგან ადგა და ჯერ არ ამოსულიყო, მთასაც და მონასტერსაც რალაც საიდუმლო მკრთალი ბნელი ფერი ედო. ივანემ გაიხედა მონასტრისკენ და „მთავარ-ანგელოზო, შენ გვიპატივეო",—ღრმა გრძნობის გამომეტყველების სახით დაიწერა პირჯვარი სამჯერ. ნიკოც მიყვა მამის მაგალითს. მაგრამ „პალიასტომი" ისეთი საიდუმლო მწვანე-ბნელი თვალით გამოიყურებოდა, რომ ნიკოს შიშით ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზედ, ივანე მამაცათ იბრუნებდა იქით-აქეთ „ჰოლოკს" *), და ამიტომ

*) ჰოლოკი ტივის წასაყვანი ჰოკი».

ყურადღება ვერ მიექცია ნიკოს გაფერ-მკრთალებულ პირი სახეს. ნიკოც თავისი მხრით ცდილობდა მამის მიხმარებას და არ უმხელდა შეშინებას. ამოკო მზემ თავი და ერთს ადგილას „პალიასტომის“ წყალში სვეტივით ჩაუშო თავისი სხივი, ასე რომ ადამიანს თვალებს გაუფუჭებდა იმ ადგილას შეხედვა; „პალიასტომს“ მზის დახედვამ კიდევ უფრო საშიში ფერი დასდო; მთა და მონასტერი შავად მოჩანდა, რადგანაც მზე ჯერ კიდევ არ მისდგომოდა; წყალს, ჰაერს და არე-მარეს უსიამოვნო, საიდუმლო ფერი ედო. თითქო მზის შუქს ამოყვაო, ქარმა რამოდენჯერმე გაიგრიალა „პალიასტომზე“ და გააღვიძა ეს ვეშაპი.—„გააგდე ჭოლოკი ხელიდან, დაჯე ტივზე და მოუჭირე ხელი ჩასაკრავს!“—შესძახა ივანემ ნიკოს. თითონ-კი ლომივით ტრიალებდა, რომ როგორმე ტივი მიეყენებია ნაპირზე. მაგრამ ივანეს ბრძოლა უძლური იყო განმძვინებულ სტიქიონის ძალასთან,—ტივს თანდათან აშორებდა ტალღები ნაპირიდან და გაჰქონდა შუაგულისკენ, უკანასკნელი „ჭოლოკიც“ ვეღარ დაუწვდა წყალს ძირამდე, რადგან შუაგულისკენ წყლის სიღრმე თანდათან მატულობს. აქ ივანემ მოინდომა—ტივს რაც მოუვა, ჯანი გავარდეს, ნიკოს ჩავისვამ ნავში და ნაპირზე გავალო. ნავი ტივზე ჰქონდა მიბმული, მაგრამ წყალი ისე იყო აზვირთებული, რომ ესეც შეუძლებელი გახდა. დიდხანს იბრძოდა ივანე თავ-გამეტებით. პო-

ლოს, როცა აქაფებულმა ტალღებმა ტივს ყირამალა დაუწყო ყუდება და ღონისაგან დაცლილმა ივანემ დაინახა, ჩემი ბრძოლისაგან არაფერი არ გამოდისო, გააგდო „ჭოლოკი“ ხელიდან, დაეცა ტივზე და ჩაჰკიდა ტივზე დაკრულს ხეს ხელი. „ნუ გეშინიან, ხელი მაგრათ, აგრე მეორე ნაპირზე გაგვიტანს და გადავრჩებითო!“—ამხნევებდა ნიკოს. ქარს გაჰქონდა და გაჰქონდა გუგუნი. ქარის გუგუნს წყლის გუგუნიც უერთდებოდა, ასე რომ გვერდით ზარბაზანი დაეცალათ, ვერ გაიგონებდით. ერთად ერთი იმედი ივანესთვის ის-ღა იყო, რომ ტივი მაგრა ჰქონდა შეკრული, არ დაიშლებოდა, ტალღები სადმე ნაპირზე გააგდებდა და გადარჩებოდენ დახრჩობას. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ იმამაცებდენ, ტალღების დაძგერების დროს ტივზე ხელი არ მოეგლიჯებოდათ და წყალში არ გადაცვიოდენ. ამიტომ „ხელი მაგრათ, ხელი მაგრათ, ხელი მაგრათო“—წამ და, უწუმ უყვიროდა ივანე ნიკოს, რომელიც მართლა და ისე იყო კეტს ჩაფრენილი, რომ, თუ დასჭრიდი მკლავებს, თორემ სხვაფრივ ვერ მოაშორებინებდი. მაგრამ აი აგერ ერთმა ტალღამ ჰკრა, აიყვანა ტივი მაღლა, წამზე უცბათ გამოეშალა და ისე დააჯახა წყალს, რომ ვენახი, რომლითაც ტივი იყო შეკრული, ორ-სამს ადგილს გაწყდა; ეს განმეორდა რამდენჯერმე და ტივმა იწყო რღვევა. ეხლა-კი დაინახა ივანემ, რომ იღუპებოდა თავიან-შვილიანათ. ნიკო-კი არც რამეს

ხედავდა და არც რამეს ფიქრობდა, შიშისგან გაბრუებულიყო და უაზროთ ჩასციებოდა ტივს, ივანემ გაუშვა ტივს ხელი, წამოვარდა ფეხზე და ისეთ-ისეთი დაჰკივლა, რომ ცა გასკდებაო, გეგონებოდათ. არსად ადამიანის ბაიბური არ ისმოდა. მაგრამ თუნდა კიდეც ყოფილიყო სიახლოვეს ვინმე, ვინ გაბედავდა გახელებულის „პალიასტომის“ პირში თავის მიცემას! ივანემ დაჰკრა ფეხი, გადავარდა ნიკოსთან, მოჰკიდა ცალი ხელი ნიკოს მკლავში და ცალი იმ ხეს, რომელზედაც ნიკო იყო ჩაფრენილი. საშინელი თავ განწირულობის ფერი ედო სახეზედ. წარმოუდგენელი ძნელი შამია ის წამი, როცა ადამიანი თვალ-და-თვალ უყურებს თავის დაღუპვას, თავის გაქრობას! ძნელია მეტადრე სოფლელი გლეხისთვის, რომელიც ისე მჭიდროთ შეკავშირებულია სიცოცხლესთან. გლეხს, რომელიც სწყევლის, კრულავს თავის ბედს, თავისს გაჩენას, მაგრამ მაინც-კი მთელი თავისი არსებით ეჯაჯგურება ცხოვრებას, უზომოდ უყვარს სიცოცხლე. ივანემ სწრაფად წარმოიდგინა, თუ რა ჯოჯოხეთი მოელოდა მის ოჯახს დაობლების შემდეგ. „რა ეშველება, შიმშილი დახოცს, გადასახადში დააწინდრეზენ, უპატრონოთ დარჩენილ ქალიშვილს ნამუსს ახდიან, დეიღუპა ოჯახი, ნასახლევად გადაიქცევა! ვიღა დააპურებს, შიმშილი. „შიმშილი“... ქარიშხალივით გაურბინა ივანეს ამ ფიქრებმა, მაგრამ მეტი ფიქრი-კი აღარ დასცალდა: ისე მძლავრად დაეჯახა წყალს უიმისოდაც დარღვეული ტივი, რომ ხეები თითო ღეროებათ გაიფანტა; ივანე და ნიკო, რომელსაც უკბათ გამოეშალათ ხეები ფეხებიდან, მოიწყვდენ წყალში. თუმცაღა მამამაც და

შვილმ[illegible]ურვა იცოდენ, მაგრამ ღონე გამოლეულს, [illegible] გაუხდელს საშინლათ აზვირთებულ ცივს წყალში აბა რა შორს შეუძლია წავიდეს! ივანემ დაინახა, როგორ ჩასძირა და ჩაყლაპა შეუბრალებელმა წყალმა მისი საყვარელი ნიკო! ერთი უკანასკნელათ კიდევ დაიღრიალა საწყალობელმა ივანემ მონადირისაგან სასიკვდილოთ დაჭრილ ლომსავით და უნდოდა მიშველებოდა შვილს, მაგრამ აღარც ღონე იყო მიშველებისა და აღარც შვილი იყო მისაშველებელი; ნიკო უკვე ჩაიტანა ძირს წყალმა, ისე რომ ხელიც არ გაუნძრევია საცოდავს. რამდენიმე წამის შემდეგ ღონე გამოლეული ივანეც წავიდა წყლის ფსკრისკენ და ეს სიტყვები: „ვაიმე, ოჯახო. ვაიმე, ცოლ-შვილო“-ო, მუცელშივე ჩაუბრუნა პირში ჩახეთქილმა წყალმა.

ქარი საშინელის ქუხილით ბრუნავდა; მზემ ამოიწია და დაყურებდა „პალიასტომს“, თითქო სეირს უყურებსო; ივანეს ხეები ისე თამაშობდენ ტალღებზე, თითქო დასულ-დგმულებულან და უხარიანთ, რომ თავისუფალნი ვართო. ივანეს პატარა ნავიც გარეულიყო ხეებში და მიყვებოდა ტალღებს, ხან აღმა და ხან დაღმა. რამდენსამე წამს შემდეგ დამხრჩვალი ივანე და ნიკო წყალმა ერთხელ კიდევ ამოიტანა ზემოდ, აჩვენა ქვეყანას და შემდეგ ისევ წაიღო თავის კუპრისავით ბნელ ფსკერისაკენ.

1891 წ. 6 ნოემბერი.

[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [

ფასი 5 კაპ.

184